

*ორმა ბერკენიშვილი***აღრე შუა საუკუნეთა ხანის რელიეფური სკულპტურის ძეგლები ავსაგეთიდან**

სტატია მიძღვნილია აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი აღრე შუა საუკუნეთა ხანის რელიეფური სკულპტურის ძეგლებისადმი, რომელიც მეტწილად საეკლესიო ხუროთმოძღვრებას უკავშირდება. აღნიშნულ რეგიონში ქრისტიანული სიმბოლოებით და სიუჟეტებით შემკული ხუროთმოძღვრული ღეგალები მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. ცნობილია, რომ აღნიშნულ პერიოდში აქ 26 აღრექრისტიანული ხანის ძეგლი შენდება [ბერძენიშვილი 2006]. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი ქრისტიანული კერა – ბიჭვინთა, რომელიც უაღრესად საინტერესო ძეგლთა კომპლექსს წარმოადგენს (მას ცალკე წერილი მიუძღვნით, რომელიც იბეჭდება ჟურნალ Talanta-ში); არანაკლებ საინტერესო აღრექრისტიანული ხანის ძეგლებია გამოვლენილი სოხუმში, ანაკოფიაში, მრამბაში, წებელდაში, კულამბაში, დრანდაში, გაგრაში და ა.შ. სწორედ ამ ძეგლებთან დაკავშირებული ხუროთმოძღვრული ღეგალების განხილვას შევეცდები ქვემოთ.

აღრე შუა საუკუნეთა ხანის ძეგლების უჩვეული სიუხვით, უპირველეს ყოვლისა, წებელდის რეგიონი გამოირჩევა. აქ გამოვლენილ უაღრესად საინტერესო მასალათა შორის აღსანიშნავია ღეგორატიული ღეგალებია, მათ შორისაა კაპიტელი (ტაბ. III, 6), რომელიც წებელდის ციხეში გამოვლენილ №2 ეკლესიას უკავშირდება. სამწუხაროდ, იგი დღეს დაკარგულია, მაგრამ ა. მილერის მიერ გამოქვეყნებული ჩანახატებით შესაძლებელია მისი ფორმებისა და ორნამენტების წარმოდგენა. კაპიტელის ერთ მხარეზე გამოსახულია გოლმკლავა ჯვარი წრეში, მეორეზე - ვაზი, მესამეზე - ვაზი გოლმკლავა ჯვართან ერთად. მეოთხეზე - მტრედი, რომელიც ყურძენს შეეჭცევა და ხარის თავი [Мишлер 1909, 71-82, სურ. 6]. გამოსახულება ძლიერ სქემატურია. მოტივების უმრავლესობა ტიპურია აღრექრისტიანული ძეგლებისთვის და შესაბამისად უხვად ეძებნება ანალოგი საქართველოს დანარჩენ ძეგლებთან; მაგალითად, ვაზისა და მტრედის მოტივი გვხვდება აკვანების ეკლესიაში (VI ს. ბოლო) - სამხრეთ-აღმოსავლეთის საღვთოში გამაფალი კარის თავზე - აქ ვაზის მტევნებს ჩიგები კენკავენ; ვაზის ყლორტები გამოსახულია წილკნის, მცხეთის ჯვრის,

აგენის სიონის სარკმლის თავსართებზე, ვაზისა და ბროწეულის გამოსახულება გვაქვს ბანას ტაძრის გარშემოსავლელის სარკმელთა სიახლოვეს [თუმანიშვილი 1993, 126]. რაც შეეხება ხარის თავის გამოსახულებას, იგი უფრო ადგილობრივ რწმუნა-წარმოდგენებს უკავშირდება, მის ახლო ანალოგს ბოლნისის პილასტრის კაპიტელი წარმოდგენს [Чубинашвили 1940, таб. IV]. ხარის მოტივი, მისი რელიეფური გამოსახულება, იგივე წებელდაში, მრავლად გვხვდება ადგილობრივ კერამიკაზეც [ბერძენიშვილი 2006, ტაბ. XI, 3, 5, 6, 15]. წებელდის ცხის №2 ეკლესია, რომელსაც უკავშირდება აღნიშნული კაპიტელი, VI ს-ის მეორე ნახევრითა და VII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Хрушкова 1982, 161].

იგივე წებელდაში, სოფ. მრამბაში გათხრილ VI საუკუნის ტაძარს უკავშირდება აღრექრისტიანული სიმბოლოებით შემკული ფილები. ისინი ძირითადად კირქვისგანაა დამზადებული. ერთ-ერთ მათგანზე (ზომა: 80X47X14სმ) გამოსახულია გოლმკლავა ჯვარი, ჯვრის გვერდებზე - ყურძნის მტევნები, მარჯვნივ - ჩიტი, რომელიც ყურძენს შეეჭცევა. ჯვრის ყველა მკლავში მოთავსებულია ვარდული, ჯვრის გვერდებზე კი - ბორჯღალი წრეში (ტაბ. I, 3).

მრამბის მეორე ფილაქვაზე (ზომა: 43X30X10სმ) გამოსახულია გოლმკლავა ჯვარი წრეში ვარდულებით (ტაბ. III, 4). შესრულების მანერით იგი ძალზედ ახლოს დგას წინა რელიეფებთან.

იგივე დეკორი, მედალიონი გოლმკლავა ჯვრით, ცნობილია გაგრის V-VI სს-ის სამეკლესიანი ბაზილიკიდან (ტაბ. III, 3). იგი სამხრეთ და დასავლეთ კარის გიმპანებსა და დასავლეთ კედელს ამკობს [დიდებულიძე 1977, 16-26; დიდებულიძე 1995, 70; ბერძენიშვილი 2005, 56-61].

მოტივი წრეში ჩაწერილი გოლმკლავა ჯვრისა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად “ბოლნური ჯვრის” სახელითაა ცნობილი, თუმცა იგი ძალზედ გავრცელებულ დეკორს წარმოადგენს მთელს აღრექრისტიანულ სამყაროში. კარგადაა იგი წარმოდგენილი აღრე შუა საუკუნეების კოპტურ ძეგლებზე [Gui / Duval / Gaillet 1992, tab. LXXXII; Kaufmann 1917, 278-279, fig. 186], კაპადოკიის მღვიმურ ეკლესიებში (V ს.) [მაჩაბელი 1998, 83], ნუბიაში [Godlewski, 1986, fig. 6], პალესტინასა და სირიაში [Avi-Yonah 1981, 102, fig. 17]. ხშირია ეს მოტივი Oboda-ს (ნეგევის უდაბნო, სამხრეთ ისრაელი) აღრექრისტიანულ ნაგებობებზე [Negev 1997, fig. 197, 198, 199, 284, 186].

აღმოსავლეთ საქართველოში ამგვარი ორნამენტი ათეულობითაა აღმოჩენილი. თუკი ლ. მუსხელიშვილი, თავის დროშეგაღნიშნავდარომ ე.წ. “ბოლნური ჯვრის” ტიპის ორნამენტის გავრცელების არე მაშავრის სისტემას არ სცილდებაო [მუსხელიშვილი 1941, 78-79], დღეისათვის ეს მოტივი დასავლეთ საქართველოშიც არაერთ ძეგლზე დასტურდება, მაგალითად, ნოქალაქევი კვადროვანი გალავნის ფრაგმენტზე [ნოქალაქევი-არქეოპოლისი 1981, 114, ტაბ. XXX,2], პეტრა-ციხისძირში, ბობოყვათის დაბლობში გათხრილი სამნავიანი ბაზილიკის მიდამოებში [ინაიშვილი 1974, 147, ტაბ.V,2], კაცხის სვეტზე [ცინცაძე 1964, 52], მოწამეთაში, ციხესიმაგრის კარიბჭის კედელში [ლანჩავა 1996, 185-187], სოფ. ღრმაღელეში ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილ ფილაქვაზე [გურია 2001, ტაბ. VI,3].

მრამბაში აღმოჩენილია მთელი სერია არქიტექტურული დეტალებისა, სადაც გამოყენებულია იგივე მოტივები: გოლმკლაგა ჯვარი წრეში, ჩიგები და ვაზის მტევნები. ყურძნის მტევანი და ჩიგი - მეტად გავრცელებული თემაა, როგორც ადრექრისტიანულ, ისე უფრო მოგვიანო დროის ხელოვნებაში. ამ გამოსახულებათა სემანტიკა საყოველთაოდაა ცნობილი: ჩიგი - ქრისტიანული სული, ქრისტეს სწავლებას (მტევნები) ნაზიარები. ადრექრისტიანულ ლიტერატურაში ეს სახე მეტად მყარია და გამომდინარეობს სახარების ტექსტიდან “მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები” (იოანე 15,5).

დეკორი - გოლმკლაგა ჯვარი წრეში - ცნობილია, აგრეთვე, სოხუმის მთის ერთ-ერთ სვეტზე (ტაბ. I, 4). სვეტი, ალბათ, თავის დროზე, კანკელს განეკუთვნებოდა. აღმოჩენის ვითარება უცნობია. თარიღდება VI ს-ით [Хрушкова 1980, 33-34].

მრამბის პირველ ფილასთან სიუქეტურ მსგავსებას ამქდავენებს კულამბას (ოჩამჩირის რაიონი) რელიეფი, რომლის ცენტრში ჯვარია მოთავსებული, ჯვრის მკლავებზე, ერთიმეორის პირისპირ ორი მტრედია გამოსახული, ჯვრის მკლავებს კი მტევანი ჩამოუყვება (ტაბ. II, 6); კულამბას გამოსახულება მაღალი რელიეფით გამოირჩევა. ჩიგები ჯვრის განივ ტოტებზე მეტად პოპულარული ადრექრისტიანული მოტივია, იგი ძირითადად სირიული ტაძრების (VI ს.) დეკორს წარმოადგენს. მაგრამ აქ ვაზის მტევნების ნაცვლად ალფა (α) და ომეგაა (ω) გამოსახული. კულამბას რელიეფი VI ს-ით თარიღდება [Хрушкова 1980, 33].

მრამბის ეკლესიას განეკუთვნება კიდევ ერთი საინტერესო ფილაქვა, რომელზედაც სასმისი და ორი ფარშავანგია გამოსახული (ზომა: 40X33X10სმ) (ტაბ. I, 1). ეს კომპოზიცია ფართოდაა

გავრცელებული სხვადასხვა ქვეყნის ძეგლებზე და გვხვდება მთელი პირველი ათასწლეულის მანძილზე. მისი წარმომავლობა აღმოსავლეთს უკავშირდება, კერძოდ, იგი ასახავდა სპარსელთა წარმოდგენას სამოთხეზე; რომაელებთან ეს თემა უკავშირდებოდა ზეციური უკვდავების იდეას; ფარშავანგი უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლო იყო პირვანდელ ქრისტიანებშიც [Lothar 1929, 33, 84]. V-VI სს-ში ფარშავანგისა და სასმისის კომპოზიცია ფართოდ გავცელდა ქრისტიანულ ქვეყნებში. რაშიც განსაკუთრებული როლი, სირიამ შეასრულა, სადაც ძალზედ ხშირია ფარშავანგის გამოყენება აღრექრისტიანულ დეკორში [Хрушкова 1980, 33-34].

პირველი საუკუნეებიდან ეს მოტივი საქართველოშიც შემოდის, რასაც მათი აღმოჩენა ადასტურებს რიგ ძეგლებზე: ფარშავანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან, რომელსაც გარედან შემოუყვება ბერძნული წარწერა: “შესვი, იცოცხლე”; არმაზისხევის ერისთავთა ნეკროპოლში ნაპოვნი ვერცხლის ტარიანი ჭურჭელი (აზარფუშის მსგავსი), რომელიც ფარშავანგის გამოსახულებით არის შემკული, ამ ფორმის ჭურჭელი ახ.წ. I-III სს-თა სამარხებშია გავრცელებული; აგრეთვე სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი, გაურკვეველი დანიშნულების ბრტყელი ოთხკუთხა შავი ქვა (IV-VI სს.); აღრექრისტიანული ხანის ხუროთმოძღვრების ძეგლებზე ფარშავანგის გამოსახულებას ვხვდებით ბოლნისში და უკანგორში [უგრელიძე 1951, 309-310], ვაშნარის კაპიტელზე (VI ს.) [Хрушкова 1977, 75], წვერო-დაბალის სტელაზე (VI ს.) და გულბაგის არქიტრაფზე (V-VI სს.) [Чубинашвили 1972, 80, 74, ტაბ. 56,40]. ფარშავანგის გამოსახულება ბოლნურ მედალიონთან ერთად გვაქვს კიბილ-ქილისას V ს-ის ბაზისის ფრაგმენტზე (ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის წყობაში) [ჯაფარიძე 1984, 52, 80. ტაბ. XXI,12]. მეტად საინტერესო სიმბოლური კომპოზიციაა წარმოდგეილი აგრეთვე სათხის ეკლესიის ჩრდილოეთი ეკვდერის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის ჭრილში ჩაშენებული სტელის ბაზის ფრაგმენტზე: კლასიკური ბოლნური მედალიონი და ფრთებგაშლილი ფარშავანგის რელიეფური გამოსახულება, რომელსაც ნისკარგით მტევანი უჭირავს (V-VI ს. პირველი ნახევარი) [ჯაფარიძე 1984, 84-86, ტაბ. VIII,1].

მრამბის რელიეფის კომპოზიციის ცენტრალურ მოტივს დიდი სემანტიკური დატვირთვა აქვს, ხშირად ესაა ექვარისტული ჭურჭელი ნაკურთხი ღვინით ან ვაზის მტევნით - აქ ქრისტეს სწავლება ან თვით ქრისტე მოიაზრება. მაგრამ, ჩიცისა და სასმისის

მოტივი უკავშირდება შედარებით ახლებურ წარმოდგენას სულის უკვლავების შესახებ, მანამდე ზიარების ჭურჭელს სიცოცხლის ხის მოტივი ცვლიდა, რომელიც ძველთაგანვე აღორძინებისა და სამოთხის სიმბოლო იყო [Ladner 1992, 138-139]. მსგავსი მოტივით შემკული ჭურჭელი ცნობილია დასავლეთ საქართველოდან, მაგ., შორაპნის ნახანძრალ ფენაში აღმოჩენილი დოქის ფრაგმენტი წყალჩიტებისა და სიცოცხლის ხის გამოსახულებით, რომელსაც ვ. ჯაფარიძე VI ს-ით ათარიღებს (ესარგებლობ ვ. ჯაფარიძის მიერ გათხრილი შორაპნის გამოქვეყნებული მასალით).

მრამბის ფარშავანგებიან რელიეფს ლ. ხრუშკოვა VI-VII სს-ით ათარიღებს, რადგან ამ დროიდან განსაკუთრებით ვრცელდება ფარშავანგის თემა, თუმცა არ გამოირიცხავს უფრო მოგვიანო პერიოდსაც - VII-VIII სს. [Хрушкова 1980, 35]. მაგრამ მოხმობილი ანალოგები, ალბად, უფრო VI ს-ის სასარგებლოდ მეტყველებს.

მრამბის ეკლესიას უკავშირდება, აგრეთვე, აქვე აღმოჩენილი ანტიფიქსი ჯვრითა და სხვა სიმბოლოებით (ვარსკვლავი, მათვარე, ხე და ა.შ.) (ტაბ. III, 5) [Воронов /Бгажба 1985, 33, ტაბ. XXVIII].

აფხაზეთის ადრექრისტიანული სკულპტურის ძეგლებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წებელდის ბარელიეფებს, რომელიც XIX ს. 80-იან წლებში გრაფინია უვაროვას მიერ აღმოჩნდა ე.წ. “ვორონოვის ეკლესიაში” [Уварова 1894 таб. VII, VIII]. 1969 წ. ლ. შერვაშიძის მიერ ამ ეკლესიის გათხრისას გამოვლინდა კიდევ სამი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი უეჭველად პირველ ფილას ეკუთვნოდა, მეორე კი მეორე ფილაქვის ცენტრალურ ნაწილს [Шервашидзе 1975, 90-91, таб. I, II, III]. უძველეს ამ ფილაქვათაგან ლ. აინალოვმა უძღვნა სპეციალური გამოკვლევა, მან დაწვრილებით გაარჩია კომპოზიციები და დაადგინა: ერთი მხრივ, სრულიად ცხადია, რომ ეს რელიეფები იკონოგრაფიის მხრივ ადრექრისტიანულ ძეგლს ეკუთვნის, ხოლო მეორეს მხრივ, ფორმებისა და ყოფაცხოვრების დეტალების შესრულების მიხედვით, ცხადია მათი კავშირი სასანიანთა ხანის ირანულ რელიეფურ ხელოვნებასთან [Аиналов 1895, 233-243].

ფილაქვებს, როცა მთელი ყოფილან, ზომა ჰქონიათ დაახლოებით 125X87 სმ. ორივე ფილის ცენტრში მოთავსებულია ორი სცენა, დანარჩენი კომპოზიციები კი მათ ირგვლივაა დაჯგუფებული. ერთ ფილაქვაზე წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი დვთისმშობელი ყრმით მუხლებზე. ზემოთა ფრიზზე წარმოდგენილია სცენა ორი მხედრით. რომელთაგან ერთი

აღამიანის ფიგურას ამარცხებს (გმირავს), მეორე კი - გველს. ფილაქვის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია კომპოზიციის დანიელი ლომებთან ორმოში. ქვემოთ - მცირე ფრაგმენტი ირმის გამოსახულებით. ამ ფილაქვის ქვედა კომპოზიცია არ შემონახულია (ტაბ. III, 2).

მეორე ფილაქვაზე გამოსახულია ჯვარცმა, ხოლო მის ქვემოთ ანგელოზი და მირონმცხებელი დედანი კუბოსთან. ფილაქვის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია პეტრე მოციქულის უარყოფა, მასთან მამალი და იმავე მოციქულის ჯვარცმა თავქვე-მარჯვნივ - აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლად შეწირვა (ცხვარი წარმოდგენილია ხის ტოტებზე დაკიდებული). აქვეა ჭაბუკი, რომლსაც ჯორი მოჰყავს, ხოლო ქვემოთ ნათლისდება. ქვედა ნაპირზე მოთავსებულია წმ. ევსტატეს სასწაულის სცენა (ლ. ხრუშკოვას და დ. აინალოვის მიხედვით), ირმის რქებში მოჩანს ქრისტეს თავი, ამ კომპოზიციის გვერდით გამოსახულია ორი კაცის გამოსახულება, ერთის თავზე ჯვარია, მეორეს კი ხელში სანთლები უჭირავს. ეს ორი ფიგურა ევსტატეს სცენისგან ხის მოტივითაა გამოყოფილი (ტაბ. III, 1).

საფარაულოდ, აქ ქტიტორების გამოსახულებასთან გვაქვს საქმე. ფიგურების ზომებში სხვაობა, მათ ასაკობრივ სხვაობაზე უნდა მიუთითებდეს, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია შუა საუკუნეების ქტიტორული პორტრეტებისათვის. მსგავსი კომპოზიციები გვხვდება X ს-ის სხიერის კანკელზე, სადაც გამოსახულია ქტიტორი ორ შეილთან ერთად [Шмерлинг 1962, 9]. თვით ჩვეულება, კანკელის ქტიტორთა გამოსახულებით შემკობისა, აღრექრისტიანული ეპოქიდან იწყება. ის, რომ აქ ქტიტორები არიან გამოსახულნი, დასტურდება მათი ტანსაცმლის ტიპით. გრძელი სამოსი, ძირისკენ გაფართოებული, გრძელი მკლავებით და ქაბრით - ეს ტრადიციული აღმოსავლური კოსტუმი. მისი ვარიანტები ცნობილია VII-X სს-ების პლასტიკაში: კაგაულისა და უსანეთის სტელა, რუისის ფასადის რელიეფები [Чубинашвили 1972, таб. 76, 88; Чубинашвили 1970, таб. 70], სხიერის კანკელი, შენაქოს ბრინჯაოს ჩამოსხმული ჯვრები [დოლაბერიძე 1974, 65-69], მსგავსი ჯვრები (VII-VIII სს.) ნაპოვნია აფხაზეთში სოხუმის მახლობლად და სოფ. ლიხნში [Гельбак 1974, 168-175; ბერძენიშვილი 2006, 139-140]. ქტიტორთა გვერდით განლაგებულია ევქარისტული ჭურჭელი - ღოჭი ღვინით და თევში პურით.

გ. ჩუბინაშვილი აღნიშნულ რელიეფებს სტილურად წირქოლის რელიეფებს უდარებდა და სრულიად განსხვავებულ ჯგუფად მიიჩნევდა ვიდრე ბოლნისის სიონის, ჯვრის და მარტვილის

რელიეფები: “ვორონოვის რელიეფები საკმაოდ ამაღლებულია ფონზე და საკმაოდ მომრგვალებულია ნაპირებზე, ისე როგორც წირქოლისა” [ჩუბინაშვილი 1936, 210].

წებელდის იკონოგრაფია შეიცავს ისეთ მოტივებს, რომელიც არქაულად გამოიყურება, მაგრამ ეს მოტივები აღმოსავლურ-ქრისტიანულ ძეგლებზე დიდი ხნის განმავლობაში გვხვდება. მაგ., ქრისტეს აპოკალიფსური ხილვების სცენა დამახასიათებელია როგორც ადრექრისტიანობისთვის, ასევე IX–XI საუკუნეებისთვის საქართველოსა და კავკასიაში. საქართველოში ამ სცენის პოპულარობა კარგად ჩანს X ს-ის მოხატულობაში - გბეთი, ხახული, იშხანი, ოშკი, გარეჯი (ხარიგონის მღვიმე) [Амиранашвили 1963, 165-168].

რაც შეეხება წებელდის ბარელიეფთა თარიღს, აქ მკვლევართა მოსაზრება არაერთგვაროვანია: დ. აინალოვი მათ ათარიღებდა ჯერ VII-VIII სს-ით, უფრო მოგვიანებით კი VI-VIII სს [Аиналов 1895, 33-202]; გ. ჩუბინაშვილის თარიღია VI-VII სს-ები. იგი წებელდის ბარელიეფებს განიხილავდა, როგორც “სკულპტურის ნაბიჯს სტილისტურ ევოლუციაში” [ჩუბინაშვილი 1936, 208-9]; შ. ამირანაშვილი წებელდის ბარელიეფებს გიპიურ ადრექრისტიანულ VI ს-ის ნაწარმოებად მიიჩნევდა, უმთავრესად მათი ხუთნაწილიან დიპტიხებთან მსგავსების საფუძველზე [Амиранашвили 1963, 121]; ნ. ჩუბინაშვილი ითვალისწინებდა ბარელიეფთა სასანაურ ელემენტებს და ძეგლს VI-VII ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებდა [Чубинашвили 1972, 87-90]; ნ. ალადაშვილი და ვ. ბერიძე წებელდის ბარელიეფებს VII საუკუნეს აკუთვნებდნენ რელიეფის იკონოგრაფიის ადრეული ელემენტების გამო [Бერიძე / Аладашвили и др. 1973, 210-211]; რ. შმერლინგი მათ “გარდამავალი პერიოდის” ე.ი. VII-VIII სს-ების ძეგლად მიიჩნევდა [Шмерлинг 1965, 69]; ასევე, VII-VIII საუკუნეებს იზიარებს რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე [Mepisashvili / Zinzadse 1977, 225]; ლ. შერვაშიძემ წებელდის ბარელიეფები ბიჭვინთის მოზაიკას შეადარა, და გაიზიარა რ. შმერლინგის მოსაზრება [Шервашидзе 1978, 186-187]; ლ. ხრუშკოვა წებელდის ბარელიეფებს VIII-IX სს-ით ათარიღებს, მკვლევარი ძირითადად სიუჟეტის შინაარსიდან გამომდინარე, - რადგან ხატმებრძოლობის პერიოდისთვის არაა დამახასიათებელი თეოფანეს ხილვისა და ჯვარცმის სცენების ერთად წარმოდგენა, ამ სცენების შერწყმა მხოლოდ ხატმებრძოლობის შემდგომ პერიოდში იქნებოდა შესაძლებელიო - ასკენის მკვლევარი [Хрушкова 1980, 54]; განსხვავებული მოსაზრება გააჩნია წებელდის ბარელიეფების

შესახებ გ. ნარსიძეს. იგი წებელდის ბარელიეფებს არა კანკელის ფრაგმენტებად, არამედ ქვაში კვეთილ ხაზად მიიჩნევს. “ნადირობის სცენაში” გამოსახული ფიგურა მკვლევარის აზრით, საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე მირიანია. ქტიტორების გამოსახულებაში კი, იგი წმ. ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს გამოსახულებას ხელავს. ძეგლს გ. ნარსიძე IV ს-ით, კერძოდ 325 წლით ათარიღებს [ნარსიძე 1994, 23-26]; გ. ნარსიძის შეხედულებას წებელდის ხაზის შესახებ იზიარებს მ. წოწელია. წებელდის ბარელიეფის №2 ფილაზე, ორი წმინდა მხედრის გამოსახულებით, მან სასანიან მეფეთა აგრიბუცია – აგაშდანი ალით, ლეგიტიმურობის ნიშანი და ორი, არამეული და ფალაური წარწერა ამოიკითხა. სამი არამეული ასო (M)KL’=(მ)ეფე და სამი ფალაური ასო wrh (,) = “ვარაპრანს” [წოწელია 2000, 18].

საბოლოოდ დავსძენთ, რომ როგორც არ უნდა გადაწყდეს მომავალში წებელდის ბარელიეფების თარიღისა თუ რაობის საკითხი, ერთი კი ცხადია, რომ ეს ძეგლი ადრექრისტიანული ხანის საკმაოდ ორიგინალურ ნიმუშს წარმოადგენს და ამ რეგიონში გარკვეული აღმოსავლური გავლენების მაჩვენებელია.

მეგაღ საინტერესო ადრექრისტიანული ბარელიეფებია აღმოჩენილი ანაკოფიაში (ახალი ათონი). ფილაქვის ფორმიდან ჩანს, რომ ისინი სარკმლის ქუდის ფუნქციას ასრულებდნენ. ფილაქვებს ქვემოდან გააჩნიათ ნახევარწრიული, პროფილირებული ამონაკვეთი. კომპოზიცია მცირე ჩაღრმავებაშია წარმოდგენილ. პიველ რელიეფზე (ზომა: 45X35სმ) გამოსახულია ორ ვარდულს შორის მოქცეული ლომი ნახტომში [Латышев 1911, 22-23] (ტაბ. II, 2). ლომის გამოსახულება ჩვეულებრივ დეკორს წარმოადგენს ქრისტიანული ტაძრებისათვის, მაგრამ ქრისტიანულ სიმბოლიკაში იგი უფრო ძველი ეპოქიდან შემოვიდა. მეგაღ პოპულარული იყო ეს მოტივი ძველადმოსავლურ ხელოვნებაში როგორც სიძლიერისა და ძალაუფლების სიმბოლო. ირანში იგი მგესა და მეფეს განასახიერებდა. მსგავსი გამოსახულებანი ავგარობის ფუნქციას ასრულებდნენ, მათ ძირითადად სარკმლებისა და პორტალის მოსართავად გამოიყენებდნენ [Хрушкова 1980, 26-27]. საქართველოს ძეგლებზე ლომის მოტივი სარკმლის მორთულობაში გვხვდება VIII-IX სს-ში, თუმცა უფრო მოგვიანო ხანაშიც, X-XI სს-ში, ეს მოტივე არ წარმოადგენს იშვიათობას [Шмерлинг 1965, 92. рис. 6].

რაც შეეხება ვარდულს, ის ძველი სოლარული სიმბოლოების რიცხვს განეკუთვნება, რომელიც ბევრგანაა ცნობილი. კავკასიის ხალხებში, მათ შორის აფხაზეთშიც ხეზე

კვეთაში ფართოდ გამოიყენებოდა ვარდულის მოტივი [Чубинашвили 1958, 83].

ანაკოფის მეორე ფილაქვაზე (ზომა: 45X35სმ) ცენტრში წარმოდგენილია თევზი, გვერდებზე კი - სქემატური კიპარისის გამოსახულება (ტაბ. II, 3). თევზი - ერთ-ერთი ყველზე ცნობილი ქრისტიანული სიმბოლოა ფართო მნიშვნელობისა [Dölger 1927], აქ მოიაზრება ქრისტიანული სული, თვით იესო ქრისტე, ევქარისტული მსხვერპლი და ა.შ. [Becker 1998, 91].

თევზის გამოსახულებიანი ფილაქვა ცნობილია აგრეთვე მრამბის ეკლესიიდან. გამოსახულება ძალზედ სქემატურადაა შესრულებული [Воронов / Брагина 1985, 33, ტაბ. XXVI, 3] (ტაბ. II, 4).

თევზი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადრექრისტიანული სიმბოლო, მრავლად გვხვდება აღნიშნული პერიოდის ძეგლებზე. თევზია გამოსახული ბიჭვინთის მოზაიკაზე [დიდი პიტიუნტი, 1978, სურ. 151, 152], ვერცხლის ლამბაქა და თასზე ბაგინეთიდან [Мачабели 1976, 66-67], თევზი და ღუმბა გამოსახული სარდიონის ბეჭდის თვალ-ინტალიონებზე სეფტიცხოვლის და სამთავროს სამარონის თიხის ფილასამარხებიდან [ბიბილური 1983, 50, 52, 55]. თევზი და ღუმბა ძალზედ გავრცელებული ადრექრისტიანული სიმბოლოა. ღუმბა იმედის, სიმტკიცისა და ერთგულების სიმბოლოა ადრეულ ქრისტიანებში, ამ მოტივის გამოსახვა ხშირია სამარხულ ძეგლებსა და სარკოფაგებზე [Becker 1998, 21]. თევზის მოტივი წმინდა აღმოსავლური წარმომავლობისაა. იგი ფართოდაა გავრცელებული ირანში და ახლო აღმოსავლეთში. თევზი მოიხსენიება ავესტაში. იგი თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა სირიაში. კავკასიაში თევზის კულტის არსებობაზე მიუთითებს ვეშაპების გამოსახულება კოლხეთის ბრინჯაოს ცულებზე. აფხაზეთში თევზს ნაყოფიერების ფუნქცია მიეწერებოდა, და მას ზოგიერთი ავადმყოფობის განკურნებაც შეეძლო [Хрушкова 1980, 29].

კიპარისი, ისევე როგორც პალმა - გავრცელებული მოტივია ადრექრისტიანულ ხელოვნებაში. ესაა სიმბოლო, რომელიც გამოხატავს რწმენის, გამარჯვებისა და მარადიული ცხოვრების იდეას. იგი უკავშირდება ძველ აღმოსავლურ საიქიო (სულის მოსახსენებელი) რწმენა-წარმოდგენებს [Becker 1998, 212]. კიპარისის, როგორც უკვდავების სიმბოლოს გამოსახულება, კარგადაა შერწყმული თევზის მოტივთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობაა - ევქარისტია. ანაკოფის ამ ფილას ახლო ანალოგები ეძებნება ქერსონის VI ს-ის ძეგლებთან, № 19 ეკლესიის კედელში ჩაშენებულ ფილაქვასთან ჯვრისა და

კი პარისების გამოსახულებით და კაპიტელთან რომელიც ასევე კი პარისით, ჯვრითა და სხვა მცენარეული მოტივებითაა შემკული [Якобсон 1959, 148, 200, рис. 34,3,4; 102].

ანაკოფიის მესამე ფილაქვაზე (ზომა: 45X35სმ) წარმოდგენილია ტოლმკლავა ჯვარი, ჯვრის გვერდითი მკლავები შეერთებულია ხარისა და ლომის ნახევარფიგურულ გამოსახულებასთან. მკლავებს ქვემოთ კი მოცემულია გრადიციული წარწერა HC XC NIKA (IC XC NIKA-ს ნაცვლად), მაგრამ ეს წარწერა ფაქტიურად წაშლილია, გვიან შესრულებული წარწერის გამო (ტაბ. II, 1). ხარი და ლომი - ევანგელისტების მარკოზისა და ლუკას სიმბოლოებს წარმოადგენენ [Латышев 1911, 22-23]. თუმცა ისინი აუცილებელი ატრიბუციების - წიგნის და ფრთების გარეშე არიან გამოსახულნი.

ანაკოფიის ეს რელიეფი ახლო ანალოგებს პოულობს სოხუმის მთაზე აღმოჩენილ რელიეფთან. სოხუმის ფილაქვის ცენტრში მოთავსებულია ტოლმკლავა ჯვარი, ფილაქვის ქვედა ნაწილში გამოსახულია ლომისა და ხარის ნახევარფიგურები (ტაბ. I,5) [Хрушкова 1980, 28].

მეტად დამახიასიათებელია ხარისა და ლომის გამოსახვა საქართველოს ფასადური სკულპტურისათვის. ხარის კულტი უპირველეს ყოვლისა ძველ გრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. იგი ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთში, ისე აღმოსავლეთში. ხარი მითრას კულტსაც უკავშირდება, რომელიც ძალზედ პოპულარული იყო ახ.წ. I ს-დან ირანიდან, ვიდრე რომამდე. ასახვა ჰპოვა მან საქართველოშიც (იგულისხმება ფიალები ცხენის გამოსახულებით ბორიდან, არმაზისხევიდან და ზღუდერიდან) [Мачабели 1976, 84-85; Амиранашвили 1963, 80].

ანაკოფიის მიდამოებიდან ცნობილია კიდევ ერთი ქვიშაქვის ფილა (ზომა: 75X53სმ), რომელზედაც თადის ქვეშ განლაგებული სამი რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა წარმოდგენილი (ტაბ. II, 5), ცენტრალური მათგანი დიდი ზომისაა. ჯვარი, რომლის ქვედა გრძივი მკლავი ბოლოში ტრაპეციისმაგვარად ფართოვდება (ბიზანტიური ჯვარი, ანუ croix longue) ტიპურია V-VI სს-თვის. ა. გრაბარის დაკვირვებით, მსგავსი ფორმის ჯვარი იმეორებს გოლგოთაზე აღმართული ჯვრის ფორმას [Grabar 1963, 31].

ანაკოფიის რელიეფები პრიმიტიული მეთოდითაა შესრულებილი, ამიტომაც ისინი უფრო ადრექრისტიანული ხანით უნდა დათარიღდეს, ზოგადად VI ს-ით.

აღრექრისტიანული მოტივებით შემკულ რელიეფებს განეკუთვნება მდ. ბესლეთთან გამოვლენილი ფილაქვა. გამოსახულების ცენტრში წარმოდგენილია ვაზის კუნწულა, გვერდებზე კი - ვიწრო, ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი ფოთლები (ტაბ. 1, 2). ეს მცენარეული მოტივი თითქოს პალმის იმიტაციას წარმოადგენს. თარიღდება VI ს-ით [Хрушкова 1980, 37].

მეგაღ საინტერესო ბარელიეფია ცნობილი დრანდის ტაძრიდან, რომელიც დღეს სამწუხაროდ დაკარგულია. ჩვენთვის იგი პ. უვაროვას პუბლიკაციითაა ცნობილი. შემორჩენილია სავარძელში მჯდომი ქრისტეს ფიგურა, მას მარცხენა ხელში კოდექსი უჭირავს, მარჯვენათი კი მოწყალებას გაცემს (Majesta Domini-ს ტიპი). ქრისტედან მარცხნივ ორი ანგელოზია გამოსახული (ტაბ. II, 7). მსგავსი ფიგურები კომპოზიციის მარჯვენა ნაწილშიც უნდა ყოფილიყო განლაგებული. რელიეფი საკმაოდ მაღალია. ბარელიეფი დრანდის ტაძრის მშენებლობის დროინდელი უნდა იყოს და, შესაბამისად, VI ს-ის მეორე ნახევარი – VII ს-ის დასაწყისით თარიღდება [ბერძენიშვილი 2006, 105].

განხილული რელიეფური სკულპტურის ძეგლები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო VI-VIII საუკუნეებში თავსდება, საკულტო ნაგებობებს უკავშირდებიან და უტყუარ დასტურად უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთში აქტიური საეკლესიო მშენებლობის არსებობისა აღნიშნულ პერიოდში.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ბერძენიშვილი, ი. 2006: ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (IV-VIII სს.). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.
- ბერძენიშვილი, ი. 2005: აფხაზეთის “სამეკლესიანი ბაზილიკები”. კრებ.: მართმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. თბილისი.
- ბიბილური, თ. 1983: თიხის ფილასამარხები გვიანანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი.
- გურია, 2001: მხარის კვლევა-ძიების შედეგები. ტ. III, თბილისი.
- დიდებულიძე, მ. 1977: ძველი გაგრის ეკლესია. ძეგლის მეგობარი, № 45.
- დიდებულიძე, მ. 1995: ძველი გაგრის ეკლესია. “ჯვარი ვაზისა”, № 1.
- დოლაბერიძე, რ. 1974: აღრეული შუა საუკუნეების ჯვარცმის გამოსახულებიანი ჯვრები. ძმ, № 35.

თუმანიშვილი, დ. 1993: სიმბოლურობა შუა საუკუნეების ქართულ საგადრო ხუროთმოძღვრებაში. ლიტერატურა და ხელოვნება, № 2, თბილისი.

ინაიშვილი, ა. 1974: პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წწ. ჩატარებული გათხრების შედეგები. სღსმ, IV, თბილისი.

ლანჩავა ო. 1996: ქუთაისი ვერის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში (IV-X სს). ქუთაისი.

მაჩაბელი, კ. 1998 : ქართული ქვაჯვარები. თბილისი.

მუსხელიშვილი, ლ. 1941: არქეოლოგიური ექსკურსიები. თბილისი.

ნარსიძე, გ. 1994: წებელდის ხატის დათარიღებისათვის. ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. კონფერენცია მიძღვნილი ადრექრისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავისადმი. თბილისი.

ნოქალაქევი-არქეოპოლისი, 1981: არქეოლოგიური გათხრები 1973-1977 წწ., თბილისი.

უგრელიძე, ნ. 1951 : ფარშავანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან. საქ. მეც. აკად. ისტ. ინსტ. მიმოხილველი. ტ. II, თბილისი.

ჩუბინაშვილი, გ. 1936: ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. 1. ტფილისი.

ცინცაძე, ვ. 1964: კაცხის სვეტის V-VI სს. ხუროთმოძღვრების ძეგლი. ძეგლის მეგობარი, № 33, თბილისი.

წოწელია, მ. 2000: სასნიანი მეფის აგრიბუნია წებელდის ხატზე. ქრისტიანული არქეოლოგიის IV კონფერენცია. ქურნ. ძიებანი, დამატებანი. III. თბილისი.

ჯაფარიძე, ვ. 1984: ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. თბილისი.

Айналов, Д. 1895: Некоторые христианские памятники Кавказа. Археологические Известия и Заметки, т. 3.

Амиранашвили, Ш. 1963: История грузинского искусства. Москва.

Беридзе, В. / Аладашвили, Н. и др. 1973: Искусство Грузии. – История искусства народов СССР. Т. 2, Москва.

Воронов, Ю. / Бгажба, О. 1985: Исследование средневековых памятников в Цебельде. Археологические открытия в Абхазии 1981-1982 гг. Тбилиси.

Латышев, В. 1911: истории христианства на кавказе. Греческие надписи из Ново-Афонского монастыря. С.-П.

Мачабели, К. 1976: Позднеантичная торевтика Грузии. Тбилиси.

Миллер, А. 1909: Разведки на Черноморском побережье Кавказа в 1907 году. Известия императорской археологической комиссий, вип. 33-й, СПб., 1909.

- Уварова, П. 1894: Христианские памятники. МАК, вып. IV, Москва.
- Чубинашвили, Г. 1940: Болнисский Сион. Тбилиси.
- Чубинашвили, Г. 1970: Вопросы истории искусства. Тбилиси.
- Чубинашвили, Н. 1972: Хандиси. Тбилиси.
- Чубинашвили, Н. 1958: Грузинская средневековая художественная резьба по дереву. Тбилиси.
- Шервашидзе, Л. 1975: Резные камни церкви на холме Арасараху близ Цебельды. ИАИЯЛИ, IV.
- Шервашидзе, Л. 1978: Пицундская мозаика. Великий Пятиунт, Т. 3, Тбилиси.
- Шмерлинг, Р. 1962: Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тбилиси.
- Хрушкова, Л. 1982: Три церкви в горной Абхазии. ВВ, т. 43.
- Хрушкова, Л. 1980: Скульптура раннесредневековой Абхазии. V-X вв. Тбилиси.
- Хрушкова, Л. 1977: Рельефная плита с изображением птиц из Цебельды. СА, №1.
- Якобсон, А. 1959: Раннесредневековый Херсонес. МИА, №63.
- Avi-Yonah, M. 1981: Art in Ancient Palestine. Jerusalem.
- Becker, U. 1998: Lexikon der Symbole. Freiburg.
- Dölger, F. 1927: Die Fisch-Denkmäler in der frühchristlichen Plastik. Malerei und Kleinkunst. Münster in Westf.
- Godlewski, L. 1986: Remarks on the Art of Nobatia (V-VIII century). – Nubische Studien. Tagungsakten der 5. Internationalen Konferenz der International Society for Nubian Studies. Heidelberg, 22-25, 1982. Mainz am Rhein.
- Grabar, A. 1963: Sculptures byzantines de Constantinople (IV-X siècles). Paris.
- Gui, I. / Duval, N. / Gaillet, J.-P. 1992: Basiliques Chrétiennes d'Afrique du Nord. Inventaire des Monuments de l'Algérie. Paris.
- Kaufmann, C. 1917: Handbuch der altchristlichen Epigraphik. Freiburg im Breisgau.
- Ladner, G. 1992: Handbuch der frühchristlichen Symbolik. Stuttgart, Zürich.
- Mepiaschvili, R. / Zinzadse, W. 1977: Die Kunst des alten Georgien, Leipzig.
- Negev, A. 1997: The Architecture of Oboda. Qedem, Monographs of the Institute of Archaeology, The Hebrew University of Jerusalem, 36, Jerusalem.

ტაბულის აღწერა:

- I. 1. ბარელიეფი ფარსშავანგის გამოსახულებით. მრამბა.
 2. ფილაქვა მტევნის გამოსახულებით. სოხუმის მიდამოები.
 3. რელიეფი ტომკლავა ჯვრის, ჩიტებისა და მტევნების გამოსახულებით. მრამბა.
 4. კანკელის ფრაგმენტები. სოხუმის მთა.
 5. ფილაქვა ტომკლავა ჯვრის, ხარისა და ლომის გამოსახულებით. სოხუმის მთა.
- II. 1, 2, 3, 5. ანაკოფიის რელიეფები.
 4. ფილაქვა თევზის გამოსახულებით. მრამბა.
 6. ფილაქვა კულამბადან.
 7. ღრანდის რელიეფი.
- III. 1, 2. წებელდის ბარელიეფები.
 3. ძველი გაგრის ეკლესიის დასავლეთ კარის გიმპანის რელიეფი.
 4. ფილაქვა ტომკლავა ჯვრის გამოსახულებით. მრამბა.
 5. კაპიტელი. წებელდის ციხის ეკლესია.
 6. ანტეფიქსი. მრამბა.

Irma Berdzenishvili

Early Middle Ages Sculptural Monuments from Abkhazia

Rezume

The article is dedicated to sculptural monuments of Early Christian period revealed in the territory of Abkhazia. A variety of architectural details with Christian symbols and themes expressed on them are presented in the mentioned region. 26 monuments of Early Christian period are known to be built in the mentioned time period. First of all should be mentioned the ancient Christian centre in the Black Sea eastern littoral - Bichvinta that is a complex of monuments of immense interest. Though the monuments of Early Christian period discovered in Sokhumi, Anakopia, Mramba, Tsebelda, Kulamba, Dranda, Gagra and so on are of no less importance. In this article is given discussion of the architectural details related to these very monuments the chronology of what ranges from the 6th to the 8th centuries that is a certain support for suggestion of intensive ecclesiastical construction in Abkhazia in that period.

I



1

2



3



4



5

II



1



2



3



4



5



6



7

III



1



2



3



4



5



6